

რაზე მმტყველებენ საფონდო ინდექსები?

რუსუდან პაპასკირი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

თუ ფიქრობთ, გახდეთ პორტფელური ინვესტორი, ან უკვე ხართ პორტფელური ინვესტორი და გინდათ, ეფექტიანად მართოთ თქვენი პორტფელი, მაშინ საჭიროა, მაქსიმალურად ფლობდეთ საფონდო ინდექსების შესახებ ინფორმაციას.

კუსმენტ რადიოს, კუყურებთ ტელევიზორს თუ კკითხულობთ საქმიან გამოცემებს, ჩვენ ხშირად გვესმის საფონდო პორტფელების და საფონდო ინდექსების შესახებ. ამის მიუხედავად, ბევრმა ჩვენგანმა როდი იცის, რას ნიშნავენ ისინი, რისთვის არიან საჭირო, რას ისახავენ მიზნად, რას ემსახურებიან, როდის წარმოიშენენ, როგორ ფასდებიან და ა. შ.

საფონდო პორტფელი, ანუ ფასიანი ქაღალდების პორტფელი, ეს არის დასახული მიზნის მისაღწევად გარკვეული წესით შერჩეული ფასიანი ქაღალდების სახეების ერთობლიობა.¹ პირს, განურჩევლად იმისა, იურიდიულია იგი თუ ფიზიკური, რომელმაც დააკომპლექტა პორტფელი ან შეიძინა იგი სხვისგან, პორტფელური ინვესტორი ეწოდება, პორტფელში ჩადებულ ინვესტიციას – პორტფელური ანუ ფინანსური ინვესტიცია, ხოლო თვით პორტფელს – საფონდო.

მაშასადამე, საფონდო პორტფელს ფლობენ ინვესტორები, რომელმაც თავისი თავისუფალი ინვესტიცია დააბანდეს ამ საქმეში მინიმალური რისკის პირობებში უფრო მაღალი შემოსავლის მიღების სურვილით (ვიდრე მას მიიღებდნენ ეკონომიკის რეალურ სექტორში მისი დაბანდებით, ანდა სულაც – ბანკში შეტანით).

ამრიგად, საფონდო პორტფელის ფორმირების ან შეძენის მიზანი არის მაღალი შემოსავლების მიღება. ეს შემოსავლები ორი სახისაა: მიმდინარე და კაპიტალური. მიმდინარე შემოსავლებს, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, პორტფელის მფლობელი იღებს (მეტ-ნაკლებად) სისტემატურად, კაპიტალურს კი – ერთჯერადად. მიმდინარე შემოსავ-

1 ლ. ქოქიაური, ნ. შონია. ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბ., თსუ გამომცემლობა, 2008, გვ. 156.

ლებია: აქციებზე – დივიდენდები, ობლიგაციებზე – ობლიგაციის სარგებელი (%) და ა. შ. კაპიტალური შემოსავლებია ის მოგება, რომელსაც პორტფელის მფლობელი მიიღებს ფასიანი ქაღალდების კურსთა სხვაობით ბაზარზე. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პორტფელში „ჩაწყობილი“ ფასიანი ქაღალდების გასაყიდი ფასი გადაამეტებს იმ ფასს, რომლითაც ინვესტორმა შეიძინა ისინი. ცხადია, პორტფელური ინვესტირების დიდ უმრავლესობას სწორედ კაპიტალური შემოსავალი აინტერესებს, რადგან იგი რამდენჯერ აღემატება მიმდინარე შემოსავალს.

დავუშვათ, ამ დიდი კაპიტალური შემოსავლების მიღების იმედით მოხიბლულმა საქართველოს მოქალაქემ ინტერნეტის მეშვეობით ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე შეიძინა ამერიკის სხვადასხვა ტვირთშიდი ავიაკომპანიების აქციები (რომლებიც კოტირებას გადიან ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე) და ამ აქციებით დააკომპლექტა თავისი საფონდო პორტფელი. აი, სწორედ ამის შემდეგ ჩნდება კითხვა: რა გააკეთოს მან ამის შემდეგ, რაზე იყოს ორიენტირებული? დავუშვათ, მას უთხრეს ან სადღაც ამოიკითხა, რომ სისტემატურად ყურადღება უნდა მიაქციოს საფონდო ინდექსების დინამიკას.

მოდით, გავარკვიოთ იგი საფონდო ინდექსებში, ავუხსნათ ინვესტორს მათი რაობა, ანგარიშის წესი და დინამიკის ცვლილების მნიშვნელობა.

საფონდო ინდექსი არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობისგან განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს აქციების გაშუალებული ფასის დინამიკას ბაზარზე საწყის თარიღთან შედარებით.

მსოფლიო ბაზარზე მრავალი მოკონკურენტო ინდექსი არსებობს. ჩვეულებრივ, გამოყოფენ ინდექსების 4 ჯგუფს: ამერიკულს, ევროპულს, აზია-წყნარი ოკეანის და რუსულს.

აშშ-ში ყველაზე გავრცელებული სამი ჯგუფის ინდექსებია:¹

1. Dow Jones Industrial average (DjIA). მას ანგარიშობს კორპორაცია „Dow Jones & Company“;

2. S&P – 500. მას ანგარიშობს სარეკლამო სააგენტო „Srom-dartPoer“-ი;

3. Nasdaq composite. მას ანგარიშობს ფასიანი ქაღალდების საფონდო დილერების ასოციაცია.

ინდექსში მითითებული ციფრი გვიჩვენებს იმ კომპანიების რაოდენობას, რომელთა აქციების ფასებიც შევიდა ინდექსში. მაგალითად, S&P-500 ინდექსში შედის ამერიკის 500 სამრეწველო კომპანიის აქციების

1 В. Ковалев, Финансый менеджмент, М., 2007. с. 217.

ფასები. იგი კონკურენციას უწევს ამერიკის დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსს (Dow Jones Index) და სრულიად დამსახურებულად ამერიკის ეკონომიკის ბარომეტრად ითვლება. ამ ინდექსში არ ზვდება ამერიკის ყველა კომპანია-ემიტენტის აქციები, ამიტომ არსებობენ სხვა ინდექსებიც.

ევროპულ საფონდო ინდექსებში ყველაზე პოპულარულია FTSE-100 Index, DAX Index და CAC-40-ი.

FTSE-100 Index-ი დიდ ბრიტანეთში გავრცელებული ინდექსია, იგი 100 კომპანიის აქციების ფასების მიხედვით გამოითვლება 1984 წლიდან. ამ წელს მისი მნიშვნელობა იყო 1000 პუნქტი, ახლა არის 5750 პუნქტი, ანუ გაზრდილია 5.7-ჯერ. DAX Index-ი არის ფრანკფურტის საფონდო ბირჟის ინდექსი. გამოითვლება 30 მსხვილი კომპანიის აქციების შეწონილი ფასის კაპიტალიზაციის მიხედვით 1987 წლიდან. მაშინ ინდექსის სიდიდე იყო 1000 პუნქტი, ამჟამად არის 6500, ე. ი. გაზრდილია 6.5-ჯერ. CAC-40 Index-ი საფრანგეთის ინდექსია. იგი იმ 40 მსხვილი კომპანიის აქციების ფასების მიხედვით იანგარიშება, რომლებიც პარიზის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობენ. ესინდექსი გამოჩნდა 1997 წელს 1000 პუნქტიანი ნიშნულით. ამჟამად იგი შეადგენს 3800 პუნქტს.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ინდექსებიდან გამორჩეულია Nikkei 225, Hang Seng Index, ShanghaiStohk composite და Alt Ordinaries. Nikkei 225 Index არის იაპონიის ინდექსი. იანგარიშება 25 კომპანიის აქციების ფასების მიხედვით. Hang Seng Index-ი არის ჰონკონგის საფონდო ბირჟის ინდექსი. ინდექსში ეკონომიკის 4 სექტორის კომპანიებია შესული. ესენია: წარმოება, კომერცია, ფინანსები, კომუნალური მომსახურება და მიწაზე საკუთრება. ინდექსის საწყისი ნიშნული – 1000 პუნქტია მჟამად 24000 პუნქტამდეა გაზრდილი. ShanghaiStohk composite არის შანხაის საფონდო ბირჟის ინდექსი. მასში შეიტანება მოცემულ ბირჟაზე კოტირებული ყველა აქციის ყოველდღიური ფასის საშუალო შეწონილი სიდიდეები. მისი ანგარიში დაიწყო 1990 წელს თავდაპირველი ნიშნულით – 100, რომელიც დღეს 3000-ს შეადგენს, ე. ი. ბირჟაზე კოტირებადი აქციების ფასები გაზრდილია 30-ჯერ. Alt Ordinaries Index-ი არის ავსტრალიის ინდექსი. გამოითვლება 500 კომპანიის აქციების ფასის შეწონილი კაპიტალიზაციით. ამ ინდექსის გამოანგარიშება დაიწყო 1979 წელს საწყისი ნიშნულით 500. ამჟამად იგი შეადგენს 4750-ს.

რუსეთში ყველაზე ცნობილია PTC და MMBF ინდექსები. PTC – ინდექსი გამოითვლება ნავთობის 23 კომპანიის აქციების ფასებზე, MMBF ინდექსი მოიცავს 30 სხვადასხვა დარგის დინამიურად განვითარებადი კომპანიების აქციებს.

ამრიგად, საფონდო ინდექსები გამოითვლება აქციებზე მიმდინარე ფასის შეფარდებით საწყის ფასებთან. რადგან ინდექსში რამდენიმე კომპანიის აქციები შედის, ამიტომ იანგარიშება მათი საშუალო შეწონილი ფასი (საშუალო არითმეტიკული ან საშუალო გეომეტრიული) და იგი შეუფარდება საწყის ფასს.

პორტფელური ინვესტირისთვის საფონდო ინდექსებზე თვალყურის დევნება აუცილებელია. კერძოდ, აუცილებელია საფონდო ბირჟის იმ სეგმენტის საფონდო ინდექსების ცვლილებაზე თვალყურის მიდევნება, რომელ სეგმენტში კოტირებადი კომპანიების ფასიან ქაღალდებსაც ფლობს ინვესტორი. ასე რომ, საქართველოს მოქალაქემ, რომელმაც პირობითად ამერიკის ტვირთმზიდი ავიაკომპანიების აქციები შეიძინა, თვალყური უნდა მიადევნოს იმ საფონდო ინდექსის ცვლილებას, რომელშიც ეს ავიაკომპანიები შედიან. ეს ინდექსია – Dow Jones 20 Transportations Average Index-ი. მასზე თვალყურის მიდევნება ქართველ ინვესტორს მისცემს ორიენტაციას, თუ როგორ მოიქცეს – შეინარჩუნოს პორტფელი და კვლავაც დაელოდოს ინდექსის ზრდას, თუ პირიქით, გაყიდოს იგი და ამოღებული თანხა დააბანდოს სხვა კომპანიების ფასიან ქაღალდებში, ანდა სულაც – გადაიტანოს ის რეალურ სექტორში. Dow Jones 20 Transportations Average Index-ი, არ ითვლება ამერიკის ძირითად ინდექსად. ძირითადი ინდექსები ჩვენ ზევით ვახსენეთ. ჩვენი აზრით, ნებისმიერმა პორტფელურმა ინვესტორმა, მათ შორის, ჩვენს მიერ შემოთვალისწინებულმა ქართველმა ინვესტორმაც, თვალი უნდა მიადევნოს ძირითადი ინდექსების ცვლილებებსაც (თუნდაც იგი არ ფლობდეს ამ ინდექსებში შემავალი კომპანიების აქციებს), რადგანაც, თუ ძირითადი ინდექსები „წითელ ზოლში მოექცა“ ანუ დაიწყო ვარდნა, მაშინ საშიშროება ელოდება არა ძირითად ინდექსებსაც.

ამას გარდა, პორტფელურ ინვესტირებს ვურჩევთ, პორტფელი დააკომპლექტონ არა ერთი, არამედ სხვადასხვა ფირმების ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს საჭიროა იმისთვის, რომ რომელიმე ერთი კომპანიის ფასიანი ქაღალდების ფასის ვარდნა გადაფაროს პორტფელში „ჩაწყობილი“ სხვა კომპანიების ფასიანი ქაღალდების ფასის ზრდამ და ინვესტორი დაზარალებული არ დარჩეს.